## დანართი N4 უკუკავშირის ფორმა

**2023 წლის 14 და 15 სექტემბერს, კოლეჯ მოდუსში გამართული თანამშრომლობითი ვიზიტის ჯგუფური უკუკავშირი , თემაზე: „სასწავლო პროცესის ორგანიზება“**

## კითხვა 1: რა გამოწვევებია სასაწავლო პროცესის ორგანიზებასთან დაკავშირებით?

| **დაწესებულების ძლიერი მხარე (დაასახელეთ მაქსიმუმ 2)** | **მტკიცებულება** |
|---|---|
| **სწორი მენეჯმენტი**<br>თანამშრომლების მიერ საკუთარი ფუნქცია-მოვალეობების ჯეროვნად გააზრება და შესრულება;<br>შესრულებული სამუშაოს მონიტორინგის ეფექტიანი სისტემა. | დასტურდება დაწესებულების მიერ ჩატარებული პრეზენტაციისა და მათ წარმომადგენლებთან გასაუბრების გზით. |
| **გუნდურობა**<br>მჭიდრო თანამშრომლობის კულტურა;<br>პასუხისმგებლობების გაზიარება; | |
| **დაწესებულების გასაუმჯობესებელი მხარე (დაასახელეთ მაქსიმუმ 2)** | **მტკიცებულება** |
| სტუდენტთა დასწრების მაჩვენებლები | დასტურდება დაწესებულების მიერ ჩატარებული პრეზენტაციისა და მათ წარმომადგენლებთან გასაუბრების გზით. |
| სტუდენტთა გადინების მაჩვენებლები | |
| **იდეები და წინადადებები გაუმჯობესებისათვის** | |
| • **დასწრების მონიტორინგის ეფექტური სისტემის არსებობა**<br>*მაგალითად დასწრების მონიტორინგის ელექტრონული სისტემის დანერგვა,, რომლითაც არასრულწლოვანი სტუდენტების გაკონტროლებას შეძლებენ მათი მშობლები ან კანონიერი წარმომადგენლები.*<br>• **სტუდენტური სერვისების გამრავალფეროვნება** | |

სტუდენტური კლუბების გაძლიერების მხარდაჭერა; საჯარო ლექციების/ვორკშოპების მეტი ინტენსივობით გამართვა;

- **პრაქტიკული სწავლების შესაძლებლობებზე ხაზგასმა სტუდენტების მოზიდვისას**

სტუდენტთა მიღებისა და პოტენციური სტუდენტების რეკრუტირების პროცესში სწავლის პრაქტიკულ კომპონენტზე ყურადღების გამახვილება, შესაბამისი მაგალითების გაცნობა სტუდენტებისთვის, და პრაქტიკული კომპონენტის ნაწილში დასწრების აუცილებლობის ხაზგასმა.

- **დამსაქმებლებთან უფრო მჭიდრო თანამშრომლობა, მათი რაოდენობის გაზრდის მიზნით**

დაწესებულებას აქვს პოტენციალი უფრო მეტ დამსაქმებელთან ითანამშრომლოს, შესაბამისად მრავალფეროვანი პრაქტიკის ობიექტებითა და დასაქმების პერსპექტივებით გაზარდოს სასწავლო პროცესში არსებული სტუდენტების ჩართულობა და მოიზიდოს მეტი პოტენციური სტუდენტი.

- **გასაუბრების დროს პროფესიისა და სწავლის სპეციფიკასთან და სწავლის ხანგრძლივობასთან დაკავშირებით ინფორმაციის დეტალურად მიწოდება**

არსებითი მნიშვნელობისაა პოტენციური სტუდენტებისგან შეირჩნენ სწორედ ისინი ვისაც გაცნობიერებული ექნება პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სწავლის სპეციფიკა, და საკუთარი რესურსის შესაბამისობა როგორც დროის, ისე ინტელექტუალური თვალსაზრისით. შესაბამისად, მნიშვნელოვანია გადარჩევის ეტაპზევე აცნობდნენ აპლიკანტებს ინფორმაციას სწავლის სპეციფიკის, დასწრებისა და შეფასების შესახებ. აგრეთვე მნიშვნელოვანია სწავლასთან დაკავშირებული სირთულეებისა და სწავლის მიტოვების რისკების გაცნობა პოტენციური სტუდენტებისთვის; თეორიული და პრაქტიკული კომპონენტების შესახებ ინფორმაციის დეტალურად გაცნობის მექანიზმების შემუშავება; პოტენციური სტუდენტების მოლოდინების განსაზღვრის სწორი მეთოდოლოგიის ან ინსტრუმენტების შემუშავება- მაგალითად პროფესიის მოსინჯვის მეთოდით. აგრეთვე მნიშვნელოვანია გაცდენის შემთხვევაში, შესაძლებლობისამებრ, დამატებითი მხარდამჭერი სერვისის სახით, კურსის თეორიული ნაწილის აღდგენა ელექტრონული სწავლების/ ჰიბრიდული სწავლების მეშვეობით

## კითხვა 2: როგორ მიმდინარეობს ინტეგრირებული პროგრამების დაგეგმვა-განხორციელება?

| **დაწესებულების ძლიერი მხარე (დაასახელეთ მაქსიმუმ 2)** | **მტკიცებულება** |
|---|---|
| პერსონალის ჩართულობა დაწესებულების მართვისა და ადმინისტრირების, აგრეთვე სასწავლო პროცესში | დასტურდება დაწესებულების მიერ ჩატარებული პრეზენტაციისა და მათ წარმომადგენლებთან გასაუბრების გზით |
| ინტეგრირებული საგანმანათლებლო პროგრამების სისტემატიური კვლევა და ანალიზი | |
| **დაწესებულების გასაუმჯობესებელი მხარე (დაასახელეთ მაქსიმუმ 2)** | **მტკიცებულება** |
| დაწესებულების ინტეგრირებული პროგრამების რეკლამირება- უფრო ფართო მასშტაბით | |

| | |
|---|---|
| ინტეგრირებული პროგრამების არასრულწლოვანი სტუდენტების კანონიერ წარმომადგენლებთან უფრო მჭიდრო კომუნიკაცია და მათი ჩართულობა სასწავლო პროცესში. | დასტურდება დაწესებულების მიერ ჩატარებული პრეზენტაციისა და მათ წარმომადგენლებთან გასაუბრების გზით |
| **იდეები და წინადადებები გაუმჯობესებისათვის** | |
| • დაწესებულების პროგრამების რეკლამირება- უფრო ფართო მასშტაბით მაგალითად, ტელევიზია, რადიო და სხვა სოციალური პლატფორმები; ცნობადი სახეების ჩართულობა რეკლამირების პროცესში;<br>• პროფესიის პოპულარიზაციის ხელშეწყობის კამპანიები სხვა კოლეჯებთან და დამსაქმებლებთან თანამშრომლობით. | |
| • არასრულწლოვანი სტუდენტების კანონიერ წარმომადგენლებთან უფრო მჭიდრო კომუნიკაცია და მათი ჩართულობა სასწავლო პროცესში- ადმინისტრაციის შეხვედრების ორგანიზება სტუდენტების მშობლებთან და კანონიერ წარმომადგენლებთან; მათი პერმანენტული ინფორმირება მიმდინარე პროცესებთან დაკავშირებით;<br>• საგანმანათლებლო პროგრამის ბენეფიტების გაცნობა მშობლებისა და კანონიერ წარმომადგენლებისთვის და პრაქტიკული მაგალითების ჩვენება პროგრამიდან;<br>• ღია/საჩვენებელი გაკვეთილების ჩატარება სტუდენტებისა და მათი მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების ჩართულობით;<br>• მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან კომუნიკაციისას დასაქმების შესაძლებლობების ხაზგასმა შესაბამისი მტკიცებულებების მეშვეობით. | |

## კითხვა 3: რა გავლენას ახდენს მრავალფეროვანი სტუდენტური სერვისები სასწავლო პროცესის გაუმჯობესებაზე?

| **დაწესებულების ძლიერი მხარე (დაასახელეთ მაქსიმუმ 2)** | **მტკიცებულება** |
|---|---|
| პროფორიენტაციისა და სტუდენტური მხარდაჭერის განვითარებული მექანიზმები | დასტურდება დაწესებულების მიერ ჩატარებული პრეზენტაციისა და მათ წარმომადგენლებთან გასაუბრების გზით. |
| კურსდამთავრებულთა დასაქმების ხელშეწყობა | |
| **დაწესებულების გასაუმჯობესებელი მხარე (დაასახელეთ მაქსიმუმ 2)** | **მტკიცებულება** |
| სტუდენტების შიდა და გარე აქტივობებისთვის ინფრასტრუქტურის განვითარება | |

| | |
|---|---|
| სტუდენტთა ინტერესებისა (შემოქმედებითი, სპორტული, პროფესიის მიღმა ) და საჭიროებების კვლევა | დასტურდება დაწესებულების მიერ ჩატარებული პრეზენტაციისა და მათ წარმომადგენლებთან გასაუბრების გზით |
| **იდეები და წინადადებები გაუმჯობესებისათვის** | |
| **სტუდენტების შიდა და გარე აქტივობებისთვის ინფრასტრუქტურის განვითარება**<br>• რეკრეაციული ზონების, სპორტული დარბაზებისა და მოედნების მოწყობა. სპორტის სხვადასხვა სახეობებისთვის ზონების მოწყობა;<br>• სამაგიდე თამაშების სივრცე;<br>• სტუდენტების კომუნიკაციის ხელშეწყობისთვის, შეკრებისთვის სივრცეების მოწყობა;<br>• აქტივობების განხორციელება ჯანსაღი ცხოვრების წესის პროპაგანდის მიზნით. | |
| **სტუდენტთა ინტერესებისა (შემოქმედებითი, სპორტული, პროფესიის მიღმა )და საჭიროებების კვლევა**<br>• შემოქმედებითი, კულტურული, სპორტული ღონისძიებების ორგანიზება და სსსმ სტუდენტების საჭიროებებზე მორგება; საჯარო ლექციების ორგანიზება;<br>• სტუდენტური წარმომადგენლობის გაძლიერება, მათ შორის თვითმმართველობის ფორმატში და მათი აქტიური ჩართვა სტუდენტური სერვისების შემუშავებისა და განვითარების პროცესში. | |

**უკუკავშირის ავტორები:**

| | **სახელი, გვარი** | **დაწესებულების დასახელება** | **დაწესებულებაში დაკავებული პოზიცია** | **ხელმოწერა** |
|---|---|---|---|---|
| 1 | ნინო რამიშვილი | სსიპ „ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯი" | ხარისხის მართვის სპეციალისტი | |
| 2 | თეა ჩხიკვაძე | სსიპ „ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯი" | სასწავლო პროცესის მენეჯერი | |
| 3 | დავით ჩხაიძე | შპს ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი | პროფესიული განათლების დეპარტამენტის უფროსი | |
| 4 | მაია დავითიანი | შპს ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი | სასწავლო პროცესის მენეჯერი | |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 5 | თაბუკა ციმინტია | შპს საზოგადოებრივი კოლეჯი Nataly Aademy | შპს საზოგადოებრივი კოლეჯის Nataly Aademy დირექტორის მოადგილე | |
| 6 | ნანა აბდალაძე | შპს საზოგადოებრივი კოლეჯი Nataly Aademy | შპს საზოგადოებრივი კოლეჯის Nataly Aademy ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი | |
| 7 | ქეთევან ამყოლაძე | შპს კოლეჯი მესამე სამედიცინო | შპს კოლეჯი მესამე სამედიცინოს სასწავლო პროცესის მენეჯერი | |
| 8 | მაია გოგიძე | შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ამაგი | საზოგადოებრივი კოლეჯი ამაგის სასწავლო პროცესის მენეჯერი | |
| 9 | სოფიო ჭუმბურიძე | შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ამაგი | PR, პროფროიენტაციისა და კარიერული დაგეგმვის მენეჯერი | |
| 10 | ლამარა თამარაძე | სსიპ კოლეჯი ,,ოპიზარი" | სსიპ კოლეჯის ,,ოპიზარის" სასწავლო პროცესის მენეჯერი | |
| 11 | ნინო სარაშვილი | სსიპ კოლეჯი ,,ოპიზარი" | სსიპ კოლეჯის ,,ოპიზარი" სასწავლო პროცესის სპეციალისტი | |